

საავიაციო რისკების დაზღვევის განვითარება თანამედროვე
ეტაპზე

გიორგი სივსივაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (სადაზღვევო საქმე)
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე“

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი, მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი სივსივაძე

20.06.2015

აბსტრაქტი

მსოფლიო ეკონომიკაში ავიაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ლოჯისტიკაში, ტურიზმში, ინვესტიციებში და წარმოადგენს ტრანსპორტის ყველაზე სწრაფ სახეობას. სხვადასხვა რისკების ზრდის ფონზე იზრდება ავიაკატასტროფის მოხდენის საფრთხე, რასაც შეუძლია შედეგად გამოიწვიოს ასობით მილიონის ზარალი და საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანების სიცოცხლეს. ასეთ პირობებში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საავიაციო რისკების მართვა და დაზღვევა, რაც უზრუნველყოფს ავიაგადამზიდავებისა და ავიაოპერატორების ფინანსურ სტაბილურობას. დღეისათვის საქართველოში საავიაციო რისკების დაზღვევის ბაზარი ნაკლებად არის განვითარებული და ნელა ვითარდება. აქედან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში საავიაციო ბაზრის შესწავლა და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა. ნაშრომის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში, მოხდა საავიაციო რისკების დაზღვევის თეორიული ბაზის გამოკვლევა და საავიაციო რისკების დაზღვევის საერთაშორისო ბაზრის მიმოხილვა, ასევე საქართველოში საავიაციო რისკების დაზღვევის ბაზრის ანალიზი. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, შემუშავებულია დასკვნა და რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დაზღვევა, ავიაცია, ავიაკატასტროფა, საქართველო, საავიაციო რისკების დაზღვევის ბაზარი.

Abstract

In the world economics the aviation plays the important role in the international logistics, tourism, investments and is the fastest mean of transportation. In such conditions, risks' management and insurance plays the important role providing financial stability of air-carriers and air-operators. Currently, the market of insurance of aviation risks is less developed and developing slowly. Hence from the above mentioned, the aim of the given paper is examination of aviation market and identifying of its future outlooks. Hence from the aim of the paper, within the framework of the research, the theoretical market of insurance of the aviation risks has been examined and the international market of insurance of the aviation risks has been discussed. Based upon the results of the research, the conclusion and recommendations have been elaborated.

Key search words: insurance, aviation, Georgia, the market of insurance of the aviation risks.